ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60. 60261356**

თარიღი:**15/05/2026**

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 104-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ხონის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N35 დადგენილების IX თავისა და ხონის მუნიციპალიტეტის მერის დავალების (60-602613561; 15.05.2026) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) სისტემური და ეფექტიანი მმართველობის უზრუნველყოფის მიზნით, გამოცხადდეს რეორგანიზაცია ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2026 წლის 15 მაისს, რის შედეგადაც მიიღება მერიის ნაწილობრივ ახალი სტრუქტურა, აგრეთვე, შესაძლებელია განხორციელდეს შტატების გადაადგილება ან/და შემცირება, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შეწყვეტა.

2. დაევალოს მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს (ამირან კინწურაშვილი) ამ ბრძანების გამოცემისთანავე, დაიწყოს მერიის რეორგანიზაციის დაგეგმვა და არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეიმუშაოს მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა და განსაზღვროს პასუხისმგებელი პირ(ებ)ი.

3. დაევალოს მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს:

   ა) უზრუნველყოს მერიის სტრუქტურულ ერთეულებში, საჯარო მოხელეთათვის, შრომითი და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის ამ ბრძანების გაცნობა;
   ბ) უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის ამ ბრძანების გაგზავნა.

4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქუჩა N1).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი